



**თვითმმართველი თემი  
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

**და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 51**

**„24“ ოქტომბერი 2014 წ.**

**„თელავის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 18 აგვისტოს №13 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. შეტანილ იქნეს ცვლილებები „თელავის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 18 აგვისტოს №13 დადგენილებაში და თელავის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტი ჩამოყალიბდეს დანართის შესაბამისად.

2. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე**

**პაატა გიორგობიანი**

„თელავის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 18 აგვისტოს №13 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

თავი I

თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული ცხრილის შესაბამისად:

დასახელება	2014 წლის
	გეგმა
	სულ
შემოსავლები	6 798,7
გადასახადები	1 629,6
გრანტები	4 553,1
სხვა შემოსავლები	616,0
ხარჯები	4 459,5
შრომის ანაზღაურება	1 040,8
საქონელი და მომსახურება	1 788,9
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0,0
პროცენტი	134,7
სუბსიდიები	1 022,2
გრანტები	0,0
სოციალური უზრუნველყოფა	354,0
სხვა ხარჯები	118,9
საოპერაციო სალდო	2 339,2

დასახელება	2014 წლის გეგმა
	სულ
არაფინანსური აქტივების ცვლილება	2 995,0
ზრდა	3 190,0
კლება	195,0
მთლიანი სალდო	-655,7
ფინანსური აქტივების ცვლილება	-779,1
ზრდა	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	0,0
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0,0
სესხები	0,0
აქციები და სხვა კაპიტალი	0,0
სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	0,0
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0,0
სხვა დებიტორული დავალიანებები	0,0
კლება	779,1
ვალუტა და დეპოზიტები	779,1
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0,0
სესხები	0,0
აქციები და სხვა კაპიტალი	0,0
სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	0,0
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0,0
სხვა დებიტორული დავალიანებები	0,0
ვალდებულებების ცვლილება	-123,4

დასახელება	2014 წლის გეგმა
	სულ
ზრდა	0,0
საგარეო	0,0
საშინაო	0,0
კლება	123,4
საგარეო	123,4
საშინაო	0,0
ბალანსი	0,0

**მუხლი 2. თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული ცხრილის შესაბამისად:

დასახელება	2014 წლის გეგმა
<b>შემოსულობები</b>	<b>6 993,69</b>
შემოსავლები	6 798,69
არაფინანსური აქტივების კლება	195,00
<b>გადასახდელები</b>	<b>7 649,43</b>
ხარჯები	4 459,47
არაფინანსური აქტივების ზრდა	3 189,96
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	0,00
<b>ვალდებულებების კლება</b>	<b>123,39</b>
<b>ნაშთის ცვლილება</b>	<b>-779,14</b>

**მუხლი 3. თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები**

განისაზღვროს თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 6798,7 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2014 წლის გეგმა
შემოსავლები	6 798,7
შემოსავლები	6 798,7

გადასახადები	1 629,6
გრანტები	4 553,1
სხვა შემოსავლები	616,0

**მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები**

განისაზღვროს თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 1629,6 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2014 წლის გეგმა
გადასახადები	1 629,6
ქონების გადასახადი	1 629,6
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	816,0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	0,0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	590,0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	223,6

**მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები**

განისაზღვროს თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 4553,09 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2014 წლის გეგმა
გრანტები	4 553,09
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	4 553,09
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	1 281,92
გათანაბრებითი ტრანსფერი	1 218,62
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	63,30
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	3 271,17

დასახელება	2014 წლის გეგმა
რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	2 366,55
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	904,62

**მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები**

განისაზღვროს თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 616,0 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2014 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	616,0
შემოსავლები საკუთრებიდან	350,0
პროცენტები	100,0
დივიდენდები	0,0
რენტა	250,0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	200,0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	50,0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	9,5
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	3,5
საერთო-სახელმწიფოებრივი სალიცენზიო მოსაკრებელი	0,0
სანებართვო მოსაკრებელი	0,0
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0,0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	3,5
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	0,0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის	0,0

დასახელება	2014 წლის გეგმა
დასუფთავებისათვის	
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	6,0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	6,0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	255,0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	1,5

**მუხლი 7. თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები**

განისაზღვროს თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 4459.5 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2014 წლის გეგმა
ხარჯები	4 459,5
შრომის ანაზღაურება	1 040,8
საქონელი და მომსახურება	1 788,9
პროცენტი	134,7
სუბსიდიები	1 022,2
სოციალური უზრუნველყოფა	354,0
სხვა ხარჯები	118,9

**მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება**

განისაზღვროს თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 2995,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 3189,958 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული ცხრილის შესაბამისად:

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2014 წლის გეგმა

01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	71,870
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0,000
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	2891,363
04 00	განათლება	107,061
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	119,664
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	0,000
<b>სულ ჯამი</b>		<b>3189,958</b>

ბ) განისაზღვროს თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 195,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2014 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	195,0
პირითადი აქტივები	0,0
არაწარმოებული აქტივები	195,0
მიწა	195,0

**მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული ცხრილის შესაბამისად:



ფუნქციონა ლური კოდი	დასახელება	2014 წლის გეგმა
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	1 927,943
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	1 778,278
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	1 747,758
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	30,520
7013	საერთო დანიშნულების მომსახურება	5,470
70133	საერთო დანიშნულების სხვა მომსახურება	5,470
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	144,195
7017	საერთო დანიშნულების ფულადი ნაკადები მთავრობის სხვადასხვა დონეს შორის	0,000
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	0,000
702	თავდაცვა	85,407
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0,000
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	0,000
704	ეკონომიკური საქმიანობა	2 007,999
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	133,696
70421	სოფლის მეურნეობა	133,696
7045	ტრანსპორტი	1 790,591
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	1 790,591

ფუნქციონა ლური კოდი	დასახელება	2014 წლის გეგმა
70455	მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები	0,000
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	83,712
705	გარემოს დაცვა	197,999
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	193,788
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	0,000
7054	ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვა	4,211
7056	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	0,000
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	1 889,383
7061	ბინათმშენებლობა	103,687
7063	წყალმომარაგება	689,039
7064	გარე განათება	175,100
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	921,557
707	ჯანმრთელობის დაცვა	15,190
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	15,190
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	356,707
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	22,198
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	311,756
7083	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	6,000
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	16,753
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	0,000

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2014 წლის გეგმა
709	განათლება	909,958
7091	სკოლამდელი აღზრდა	909,958
7093	პროფესიული განათლება	0,000
710	სოციალური დაცვა	258,845
7103	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	15,800
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	80,000
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	142,945
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	20,100
	სულ	7 649,432

**მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო -655,7 ათასი ლარის ოდენობით.

**მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება**

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება -779,1 ათასი ლარის ოდენობით.

**მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება**

2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება -123,4 ლარის ოდენობით.

**მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი**

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 26,7 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 67-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად.

**მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი**

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი, 63.3 ათ.ლარი მიიმართოს:

ა) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 58,8 ათ. ლარი;

ბ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 4,5 ათ. ლარი;

2. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

### **მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა**

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## **თავი II**

### **თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები** **მუხლი 16. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები**

#### **1. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 03)**

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის თელავის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა სამხედრო აღრიცხვა, მობილიზება და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

#### **2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 03 00)**

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და მის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება. აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

#### **ა) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება თელავის მუნიციპალიტეტში არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის მდგომარეობის შენარჩუნება და განახლება, რაც გააუმჯობესებს არსებულ საგზაო ინფრასტრუქტურას.

#### **ბ) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 02)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე-განათების, წყალმომარაგების და

საკანალიზაციო სისტემების არსებულის მოვლა-შენახვა და ექსპლოატაცია, თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება.

**ბ.ა) ბინათმშენებლობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 01)**

თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის შედეგად დაზიანებული სახლის სახურავების შეკეთებისათვის.

**ბ.ბ) სოფლად წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 02)**

თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასმელი წყლით უკეთ მომარაგების მიზნით საჭირო ხდება ჭაბურღილების მოვლა-პატრონობა, დაზიანებული და მოძველებული სასმელი წყლის სისტემების და სათავე ნაგებობების მოვლა-პატრონობა და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება.

**ბ.გ) გარე-განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 03)**

თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ქუჩების განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე-განათების არსებული ქსელის ექსპლუატაცია და შეძლებისადგვარად ახალი კვანძების მოწყობა.

**ბ.დ) დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 04)**

თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დაგვა-დასუფთავება.

**ბ.ე) სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 05)**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება წყალდიდობებისაგან დამცავი ნაგებობების მშენებლობა-ექსპლოატაციის ხარჯების დაფინანსება.

**ბ.ვ) კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილმოწყობილი გარემოს შექმნას.

**გ) სოფლის მხადარჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 05)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები ითვალისწინებს სოფლის მოსახლეობის უმრავლესობის მატერიალური, ყოფითი, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. პროგრამით გათვალისწინებული თანხა მოხმარდება ადგილობრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული და კეთილმოწყობის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციას, საერთო სარგებლობის შენობების აღჭურვას, და/ან გრძელვადიანი სარგებლობის ტექნიკის შესყიდვა აღჭურვას.

**დ) შპს „ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახური“ (პროგრამული კოდი 03 07)**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსებას.

### **3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)**

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებშიც ყოველწლიურად ხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

#### **ა) სკოლამდელი განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)**

პროგრამის ფარგლებში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას. თელავის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 16 ბაგა-ბაღი : სოფ.აკურის ბაგა-ბაღი, სოფ. ვანთის ბაგა-ბაღი, სოფ. ბუშეტის ბაგა-ბაღი, სოფ. ქვ.ხოდაშნის ბაგა-ბაღი, სოფ. წინანდლის ბაგა-ბაღი, სოფ. კონდოლის ბაგა-ბაღი, სოფ. კისისხევის ბაგა-ბაღი, სოფ. გულგულის ბაგა-ბაღი, სოფ. ვარდისუბნის ბაგა-ბაღი, სოფ. ყარაჯალის ბაგა-ბაღი, სოფ. რუისპირის ბაგა-ბაღი, სოფ. იყალთოს ბაგა-ბაღი, სოფ. სანიორის ბაგა-ბაღი, სოფ. თეთრწყლების ბაგა-ბაღი, სოფ. ფშავლის ბაგა-ბაღი, სოფ. ლაფანყურის ბაგა-ბაღი, სოფ. ართანის ბაგა-ბაღი, სოფ.კისისხევის ბაგა-ბაღი, რომლებიც გაერთიანებულები არიან და შედიან ააიპ „ბაგა-ბაღების გაერთიანება“-ში. ერთ-ერთ პრიორიტეტს ბაგა-ბაღებში წარმოადგენს აღმზრდელების გადამზადების საკითხი, აგრეთვე ბაღში ჰიგიენური პირობების მკაცრად დაცვა, რაც უპირველესია ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვისათვის. სასწავლო-სააღზრდელო პროცესის უფრო ეფექტურად წარმართვისათვის უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ინფრასტრუქტურის განახლებას.

### **4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)**

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სპორტის განვითარებისათვის სათანადო პირობების შექმნა, სპორტსმენთა მომზადების ორგანიზაციული და მეთოდური ხელშეწყობა, მონაწილეობის მიღება რესპუბლიკურ ღონისძიებებზე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული კულტურის ობიექტების, ბიბლიოთეკების, მუზეუმების, სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა, წიგნადი ფონდის განახლება, კულტურული დაწესებულებებისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, კულტურული ღონისძიების ხელშეწყობა, ახალგაზრდული ღონისძიებების ჩატარების ხელშეწყობა.

#### **ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)**

თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტული მოედნების მოწყობა, აღნიშნული პროგრამის განხორციელება მნიშვნელოვანია ბავშვებსა და მოზარდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების და სხვადასხვა სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების განხორციელებისთვის.

#### **ა.ა) სპორტული ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 01)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული 2 ხელოვნურსაფარიანი მინიმოდენების მოვლა შენახვისა და ექსპლოატაციის ხარჯების დაფინანსება. აღნიშნული პროგრამის განხორციელება მნიშვნელოვანია ბავშვებსა და მოზარდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების და სხვადასხვა სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების განხორციელებისთვის.

#### **ა.ბ) სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 02)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ახალი სპორტული მოედნების მოწყობა. აღნიშნული პროგრამის განხორციელება მნიშვნელოვანია ბავშვებსა და მოზარდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების და სხვადასხვა სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების განხორციელებისთვის.

#### **ბ) კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)**

პროგრამა ითვალისწინებს სახელოვნებო ორგანიზაციებში კრეატიული აზროვნების დანერგვა-ხელშეწყობას, ხალხური შემოქმედების, ფოლკლორული ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას. სათანადო მომზადებას და შემოქმედებითი კონცერტების მოწყობას საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში. მოსწავლეთა მზადებას და მონაწილეობას ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური და ფოლკლორული მუსიკის რესპუბლიკურ ფესტივალებსა და კონკურსებში; მოზარდებში გარესამყაროს მხატვრული აღქმის უნარის ჩამოყალიბებას; გამომსახველობით საშუალებათა ტექნიკის განვითარებას, მოსწავლეთა ხელოვნების საფუძვლების ზიარებას. მატერიალურ - ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების მოწყობა, რომელშიც მონაწილეობას იღებენ ადგილობრივი ფოლკლორული ანსამბლები. სხვადასხვა სახალხო და რელიგიური დღესასწაულების ჩატარება. აღნიშნული ღონისძიებების დაფინანსება ხელს უწყობს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას. ქართული ფოლკლორული ხელოვნების და ადგილობრივი ტრადიციების შენარჩუნებას.

#### **ბ.ა) სახელოვნებო სკოლები (პროგრამული კოდი 05 02 01)**

პროგრამა ითვალისწინებს სახელოვნებო ორგანიზაციებში კრეატიული აზროვნების დანერგვა-ხელშეწყობას, ხალხური შემოქმედების, ფოლკლორული, ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას. სათანადო მომზადებას და შემოქმედებითი კონცერტების მოწყობას საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში. მოსწავლეთა მზადებას და მონაწილეობას ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური და ფოლკლორული მუსიკის რესპუბლიკურ ფესტივალებსა და კონკურსებში; მოზარდებში გარესამყაროს მხატვრული აღქმის უნარის ჩამოყალიბებას; გამომსახველობით საშუალებათა ტექნიკის განვითარებას, მოსწავლეთა ხელოვნების საფუძვლების ზიარებას. მატერიალურ - ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ყოველივე ზემოაღნიშნულის განსახორციელებლად ფუნქციონირებს ააიპ „წინანდლის სამუსიკო სკოლა“, ააიპ „რუისპირის სამუსიკო სკოლა“, ააიპ „აკურის სამუსიკო სკოლა“.

**ბ.ბ) ა.ა.ი.პ. თვითმმართველი თემი თელავის საზიზლიოთეკო გაერთანება (პროგრამული კოდი 05 02 01)**

თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ააიპ „თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საზიზლიოთეკო გაერთანება“, ორგანიზაციის მეშვეობით საზოგადოებას ეძლევა საშუალება მუდმივად გაეცნოს და მიიღოს ინფორმაცია მისთვის საჭირო და საინტერესო საკითხებზე.

**ბ.გ) ა.ა.ი.პ. თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 01)**

მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულია ააიპ „თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“, რომელშიც გაერთიანებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული 4 კულტურის სახლი, რომლებიც მრავალი სხვადასხვა ადგილობრივი კულტურული ღონისძიების განმახორციელებელია (სხვადასხვა სოფლის დღესასწაულები, შობა-ახალი წლისადმი მიძღვნილი ღონისძიება და სხვა).

**გ) ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 03)**

პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება, რომელიც ითვალისწინებს ახალგაზრდობის ჩართულობას სპორტულ და კულტურულ ცხოვრებაში (ლაშქრობები, ექსკურსიები, და ა.შ.). პროგრამის ფარგლებში ტარდება სხვადასხვა სპორტული ტურნირები და ღონისძიებები, სადაც მონაწილეობას იღებენ ადგილობრივი სპორტული და მოყვარულთა გუნდები.

**დ) ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა (პროგრამული კოდი 05 05)**

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მწერალთა ორგანიზაციების ხელშეწყობა.

**ე) ძეგლთა დაცვის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 06)**

პროგრამის ფარგლებში მუდმივად მიმდინარეობს კულტურული და ისტორიული ძეგლების აღრიცხვა-პასპორტიზაცია და თანამშრომლობა შესაბამის ორგანიზაციებთან. ახლად აღმოჩენილ ისტორიულ ძეგლებზე ინფორმაციის მოძიება და მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე განთავსება.

**ვ) ეკლესიების შეკეთების და სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 04)**

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ომში გმირულად დაღუპული ზურაბ ბალაშვილის ხსოვნის უკვდავსაყოფად მემორიალის მოწყობა.

**5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტის, მოსახლეობისათვის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობისა და სოციალური სფეროს დაფინანსება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე



მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით და ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

**ა). ჯანდაცვის პროგრამები (პროგრამული კოდი 06 01)**

ჯანმრთელობისათვის ხელშეწყობა წარმოადგენს პროცესს, რომელიც მიმართულია ადამიანის მიერ საკუთარი ჯანმრთელობის კონტროლისა და გაუმჯობესებისაკენ. პროგრამა უზრუნველყოფს მოსახლეობის ყველა ფენისათვის იმ შეგნების ჩანერგვას, რომ აუცილებელია საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვა ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვის გზით. ამ პროგრამის მთავარი მიზანი მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდის მიღწევა და მოსახლეობაში ჯანმრთელი კონტიგენტის ხვედრითი წონის მატებაა. აგრეთვე მისი მიზანია ადამიანთა ფიზიკური და ფსიქიური ჯანმრთელობის დაცვა, შენარჩუნება და აღდგენა დაავადებათა პრევენციის, მათი გავრცელების შესწავლისა და შესაბამისად კონტროლის, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობის გზით.

**ბ) სოციალური პროგრამები (პროგრამული კოდი 06 02)**

პროგრამა ითვალისწინებს ხანდაზმულთათვის, მარჩენალდაკარგულთათვის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და სოციალურად დაუცველ პირთათვის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების გატარებას, როგორცაა ახალშობილთა და მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს როგორც ერთჯერად ასევე ყოველთვიურ ფინანსურ დახმარებას, რაც ნაწილობრივ აისახება მათ სოციალურ მდგომარეობაზე. სოციალურად დაუცველ პირთა ზრუნვა, პირველადი სამედიცინო მომსახურება, სამკურნალო-სარეაბილიტაციო ღონისძიებები.

**ბ.ა) მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 02)**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ომში დაღუპულთა და დაინვალიდებულთა მცირეწლოვან შვილებზე ყოველთვიურ ფულად დახმარებას.

**ბ. ბ) ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 05)**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ახალშობილთა (I და II ბავშვზე 50 ლარის ოდენობით) და III, IV (III ბავშვზე 150 ლარი, IV ბავშვზე 200 ლარი და ა.შ.) და მეტი ბავშვის დაბადებისას ოჯახების ერთჯერად ფინანსურ დახმარებას და აგრეთვე, მრავალშვილიანი ოჯახები,

სადაც 18 წლამდე ოთხი და მეტი ბავშვია ყოველთვიურად მიიღებენ ფინანსურ დახმარებას (ერთ ბავშვზე 30 ლარის ოდენობით).

**ბ.გ) სოციალურად დაუცველ პირთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 02)**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ეკონომიურად გაჭირვებული ოჯახების შერჩევას და ისინი ქვეპროგრამის ფარგლებში სამედიცინო მომსახურების ღირებულების თანადაფინანსებით ფინანსდებიან. აგრეთვე ფინანსდებიან ის სოციალურად გაჭირვებული ადამიანები, რომლებიც არ არიან დარეგისტრირებულნი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ერთიან ბაზაში და თუ გარკვეულ დაავადებას ან გამოკვლევას სადაზღვევო კომპანიები ვერ აფინანსებენ.

ქვეპროგრამით ხორციელდება აგრეთვე საერო და რელიგიურ დღესასწაულებზე სხვადასხვა კატეგორიის ადამიანებისათვის ერთჯერადი ფულადი დახმარების ან საჩუქრების გადაცემას (მრავალშვილანი დედები, უდედმამო ბავშვები, 100 წელს გადაცილებული მოხუცები, 9 აპრილს დაზარალებულები, ინვალიდი ბავშვები, ომის მონაწილეები, სამაჩაბლო-აფხაზეთის ომში დაღუპულთა ოჯახები, დევნილები და სხვა).

**ბ.დ) სამამულო ომის მონაწილეთა, ლტოლვილთა და უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვისათვის დახმარების პროგრამა(პროგრამული კოდი 06 02 03)**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს გარდაცვლილი სამამულო ომის მონაწილეების და სამაჩაბლო-აფხაზეთის ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა დაკრძალვის ხარჯების გაღებას. თითოეული გარდაცვლილის ოჯახზე 250 ლარის ოდენობით, ხოლო გარდაცვლილი დევნილის და უპატრონო მიცვალებულის დასაკრძალად 200 ლარის ოდენობით. პროგრამის მიზანია აღნიშნული ოჯახებისათვის თანაგრძნობის გამოხატვა და უპატრონო მიცვალებულების დაკრძალვისათვის შესაბამისი პატივის მიგება.

**ბ.ე) მოქალაქეთა მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 06 02 08)**

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მგზავრობა უფასოთ გადაადგილებისათვის გამოყოფილია ტრანსპორტი, რომელთა საშუალებითაც მთელი წლის განმავლობაში ისეთ სოფლებში სადაც არ ხდება ტრანსპორტის რეგულარული მოძრაობა, შესაძლებელი გახდეს შეუფერხებლად და კომფორტულად გადაადგილება.

**თავი III**

**მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები**

**მუხლი 17. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით თანდართული ცხრილის შესაბამისად:

პროგრამული კოდი	დასახელება	2014 წლის გეგმა
-----------------	------------	-----------------

პროგრამული კოდი	დასახელება	2014 წლის გეგმა
	თელავის მუნიციპალიტეტი	7 772,823
	ხარჯები	4 459,474
	შრომის ანაზღაურება	1 040,785
	არაფინანსური აქტივების ზრდა	3 189,958
	ვალდებულებების კლება	123,391
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	2 051,334
	ხარჯები	1 856,073
	შრომის ანაზღაურება	993,265
	არაფინანსური აქტივების ზრდა	71,870
	ვალდებულებების კლება	123,391
01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	367,930
	ხარჯები	340,010
	შრომის ანაზღაურება	219,455
	არაფინანსური აქტივების ზრდა	27,920
01 02	მუნიციპალიტეტის გამგეობა	1 379,828
	ხარჯები	1 335,878
	შრომის ანაზღაურება	773,810
	არაფინანსური აქტივების ზრდა	43,950
01 03	სარეზერვო ფონდი	23,774

პროგრამ ული კოდი	დასახელება	2014 წლის ბიუჯეტი
	ხარჯები	23,774
01 04	დავალიანებების დაფარვა	6,746
	ხარჯები	6,746
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0,000
01 05	შესყიდვებთან (ტენდერი, აუქციონი და ა.შ.) დაკავშირებული ხარჯები	5,470
	ხარჯები	5,470
01 06	წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა	267,586
	ხარჯები	144,195
	ვალდებულებების კლება	123,391
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	85,407
	ხარჯები	85,407
	შრომის ანაზღაურება	47,520
02 01	საგანგებო სიტუაციების მართვა	0,000
	ხარჯები	0,000
	შრომის ანაზღაურება	0,000
02 03	ქვეყნის თვდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა	85,407
	ხარჯები	85,407

პროგრამული კოდი	დასახელება	2014 წლის გეგმა
	შრომის ანაზღაურება	47,520
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	4 095,381
	ხარჯები	1 204,018
	არაფინანსური აქტივების ზრდა	2 891,363
03 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	1 790,591
	ხარჯები	33,590
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1 757,001
03 02	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	1 295,310
	ხარჯები	749,660
	არაფინანსური აქტივების ზრდა	545,650
03 02 01	ბინათმშენებლობის ღონისძიებები	103,687
	ხარჯები	103,687
03 02 02	წყლის სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებები	689,039
	ხარჯები	354,485
	არაფინანსური აქტივების ზრდა	334,554
03 02 03	გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებები	175,100
	ხარჯები	126,500

პროგრამული კოდი	დასახელება	2014 წლის ბეგმა
	არაფინანსური აქტივების ზრდა	48,600
03 02 04	გარემოს დაცვითი ღონისძიებები	193,788
	ხარჯები	164,988
	არაფინანსური აქტივების ზრდა	28,800
03 02 05	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	133,696
	არაფინანსური აქტივების ზრდა	133,696
03 03	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	87,923
	ხარჯები	87,923
03 05	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები	911,557
	ხარჯები	322,845
	არაფინანსური აქტივების ზრდა	588,712
03 06	ააიპ ღვინის პარკი	0,000
	ხარჯები	0,000
03 07	შპს „ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახური“	10,000
	ხარჯები	10,000

პროგრამული კოდი	დასახელება	2014 წლის ბეგმა
04 00	განათლება	909,958
	ხარჯები	802,897
	არაფინანსური აქტივების ზრდა	107,061
04 01	სკოლამდელი განათლება	909,958
	ხარჯები	802,897
	არაფინანსური აქტივების ზრდა	107,061
04 03	პროფესიული განათლების ხელშეწყობა	0,000
	ხარჯები	0,000
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0,000
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	356,707
	ხარჯები	237,043
	არაფინანსური აქტივების ზრდა	119,664
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	22,198
	ხარჯები	7,198
	არაფინანსური აქტივების ზრდა	15,000
05 01 01	სპორტული ორგანიზაციების ხელშეწყობა	7,198
	ხარჯები	7,198

პროგრამული კოდი	დასახელება	2014 წლის ბეგმა
05 01 02	სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობა	15,000
	არაფინანსური აქტივების ზრდა	15,000
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	306,756
	ხარჯები	202,092
	არაფინანსური აქტივების ზრდა	104,664
05 02 01	კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა	306,756
	ხარჯები	202,092
	არაფინანსური აქტივების ზრდა	104,664
05 03	საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა	13,753
	ხარჯები	13,753
05 04	ეკლესიების შეკეთების და სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ღონისძიებები	3,000
	ხარჯები	3,000
05 05	ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	6,000
	ხარჯები	6,000
05 06	მეგლთა დაცვის ღონისძიებები	5,000



პროგრამული კოდი	დასახელება	2014 წლის ბიუჯეტი
	ხარჯები	5,000
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	274,035
	ხარჯები	274,035
06 01	ჯანდაცვის პროგრამები	15,190
	ხარჯები	15,190
06 02	სოციალური პროგრამები	258,845
	ხარჯები	258,845
06 02 02	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება	158,745
	ხარჯები	158,745
06 02 03	უმწეოთათვის უფასო სასაბუღალტრო დაფინანსება	0,000
	ხარჯები	0,000
06 02 04	ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯები	5,100
	ხარჯები	5,100
06 02 05	ოჯახებისა და ბავშვთა სოციალური დაცვა	80,000
	ხარჯები	80,000

პროგრამ ული კოდი	დასახელება	2014 წლის ბეგმა
06 02 06	ვეტერანთა საზოგადოება	0,000
	ხარჯები	0,000
06 02 08	მოქალაქეთა მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის ხელშეწყობის ღონისძიებები	15,000
	ხარჯები	15,000

საკრებულოს თავმჯდომარე

პაატა გიორგობიანი

## განმარტებითი ბარათი

მოხდეს ცვლილება თელავის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტში. ბიუჯეტი განისაზღვროს 7772,8 ათ.ლარის ოდენობით.

მოხდეს ცვლილება ბიუჯეტის გადასახდელებში:

შემცირდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 5,0 ათასი ლარით;

შემცირდეს მუნიციპალიტეტის გამგეობის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 24,0 ათასი ლარით;

შემცირდეს გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციის, მოვლა-შენახვისა და მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის ღონისძიებების არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 3,0 ათასი ლარით;

შემცირდეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილმოწყობის სამუშაოების საქონელი და მომსახურების მუხლის ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები 3,0 ათასი ლარით;

გაიზარდოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საქონელი და მომსახურების მუხლის სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯი 20,0 ათასი ლარით;

გაიზარდოს გარე-განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 10,0 ათასი ლარით;

გაიზარდოს ბაგა ბაღების გაერთიანების არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 5,0 ათასი ლარით;

საფინანსო - საბიუჯეტო და სოციალურ  
საკითხთა სამსახურის უფროსი

მიხეილ შაშიაშვილი